დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

ნოემბერი, 2023

ფრანკფურტის საკვირაო სკოლის მოსწავლეებისთვის შემეცნებითი ღონისძიება ჩატარდა

5 ნოემბერს, ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალურმა საკონსულომ, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტის „ქართული თოჯინების ისტორია, ანიმაციის ისტორია, თოჯინების თეატრი“ ფარგლებში გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ბავშვებისთვის შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებას უმასპინძლა.

ქართულ-გერმანული კულტურისა და განათლების ორგანიზაცია „გეორგიკასთან“ არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლეებს საქართველოს ხელოვნების სასახლის საგანმანათლებო პროექტების კურატორმა, ლალუ ხოსიტაშვილმა ვირტუალურად დაათვალიერებინა XIX საუკუნეში აგებული საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი.

პროექტების კურატორმა ემიგრანტ ბავშვებს გააცნო მუზეუმის დაარსების ისტორია და მათი ჩართულობით განიხილა გამორჩეული ექსპონატების მნიშვნელობა.

ღონისძიების ფარგლებში პატარებს შესაძლებლობა მიეცათ დაეთვალიერებინათ მუზეუმში არსებული თოჯინების კოლექცია.

ისრაელში ქართული დიასპორა ისრაელის ჯარის მხარდასაჭერ აქციას განაგრძობს

6 ნოებერს, ისრაელში ქართული დიასპორული ორგანიზაციების, ტურისტული სააგენტოს „თეევრო ტური“ (ხელმძღვანელი თეა სირაძე) და ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „ფესვები“ (ხელმძღვანელი მიხეილ ბარამაშვილი) ორგანიზებით, ისრაელის ჯარის მხარდასაჭერად, ისრაელის სამხრეთის სამხედრო ბაზაში 130 მეომრისათვის ქართული კერძები გაიგზავნა. ასევე, საკვებით სავსე ამანათები გაეგზავნა 180 ქვეით მეომარს რამათაგოლანში.

აქცია „დავეხმაროთ მეომრებს" ოქტომბერში დაიწყო და სამომავლოდაც გაგრძელდება.

დღესდღეობით კი, აქციის ფარგლებში, ქართული დიასპორა ტრადიციული კერძებით გაუმასპინძლდა ექვს სამხედრო ბაზას, ერთ სამხედრო სამედიცინო საავადმყოფოს „ბარზილაი“ (საერთო ჯამში - 760 ჯარისკაცი) და მხარდაჭერა აღმოუჩინა ქ. აშკელონის ერთ-ერთი სამხედრო ბაზის დაღუპული ორი მეომრის ოჯახს.

აქციის ორგანიზებაში აქტიურად იყვნენ ჩართული ისრაელში მყოფი ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქართული კულტურის საღამო ნიდერლანდების სამეფოში

7 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, მარიამ მიქიაშვილის ინიციატივითა და ორგანიზაციის „International West-East Bridges Foundation“ მხარდაჭერით ჩატარდა ღონისძიება „დასავლეთ-აღმოსავლეთის საერთაშორისო ხიდების ფონდისთვის“.
ღონისძიებას ესწრებოდა 80-მდე სტუდენტი. მათ მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ ქართულ კულტურასა და ტრადიციებს. აქტივობებთან ერთად, ღონისძიება მოიცავდა დისკუსიას საქართველოს კულტურის ისტორიული განვითარების შესახებ.

ბუდაპეშტში საერთაშორისო კულტურული ღონისძიება გაიმართა

7 ნოემბერს, ქ. ბუდაპეშტში, Eötvös Lorand University-ში გამართულ საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულმა უნგრეთში, მარიამ ქებაძემ.
ღონისძიების ფარგლებში უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ საქართველოს ისტორიასა და კულტურას, დაეგემოვნებინათ ქართული ტრადიციული კერძები და ღვინო, ენახათ ქართული ცეკვა და მოესმინათ ცოცხალი მუსიკა.
ღონისძიების დასასრულს, ჩატარდა საქართველოს შესახებ ვიქტორინა, რომლის გამარჯვებულსაც გადაეცა ქართული თემატური პრიზი.
ღონისძიების ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღეს Eötvös Loránd University-ის ქართველმა სტუდენტებმა, ალექსანდრე გულბიანმა და რუსუდან მარგიანმა. საღამო მუსიკალურად გააფორმა დიანა როგავამ.

სან-ფრანცისკოში ქართული ფილმის ჩვენება გაიმართა

7 ნოემბერს, ქართული მემკვიდრეობის ფონდის ორგანიზებით და ქ. სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით, რეჟისორ თინათინ ყაჯრიშვილის ფილმის „მოქალაქე წმინდანი“ ჩვენება გაიმართა.

„მოქალაქე წმინდანი“ 2024 წელს ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოებაზე საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს კანდიდატ ფილმად არის შერჩეული.

ღონისძიებას ქართული დიასპორის წევრებთან ერთად, ბერკლის ხელოვნების მუზეუმის წარმომადგენელიც ესწრებოდა. ჩვენების შემდეგ მიწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ქონდათ ფილმის რეჟისორს თინათინ ყაჯრიშვილს და პროდუსერ, ლაშა ხალვაშს გასაუბრებოდნენ.

9 და 11 ნოემბერს, ფილმის პრეზენტაცია ლოს ანჯელესში, Culver Theater-ში გაიმართა.

აშშ-ში ქართული დიასპორისა და საკონსულოს წარმომადგენლების შეხვედრა ქ. სან-ხოსეს მერთან

8 ნოემბერს, ქ. სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალური კონსული ლევან ბერიძე, კონსული დავით კურტანიძე და ქართული მემკვიდრეობის ფონდის ხელმძღვანელი ლიანა ნიცეცკაია ქ. სან-ხოსეს მერს, მეტ მაჰანს შეხვდნენ.

შეხვედრისას ძირითადი ყურადღება დაეთმო კულტურული და საგანმანათლებლო კავშირების გაღრმავებას, ქართული დიასპორის აქტივობების მხარდაჭერასა და სან-ხოსეს ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობის პერსპექტივებს. ამასთანავე, ხაზი გაესვა კალიფორნიისა და საქართველოს ქალაქებს შორის დამეგობრების საკითხსაც.

ფრანკფურტში საქართველოს გენერალურმა საკონსულომ ლიტერატურულ საღამოს უმასპინძლა

8 ნოემბერს ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალურმა საკონსულომ, ლიტერატურულ საღამოს „Deutsch-Georgische Literaturbrücke – Ich habe meinen Rilke übersetzt“ უმასპინძლა. საღამო გამორჩეული გერმანულენოვანი პოეტის რაინერ მარია რილკეს ლექსების ქართულენოვან გამოცემას „საღამო არის ჩემი წიგნი“ მიეძღვნა, რომელშიც რილკეს 50 ლექსის თარგმანია შესული.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო თარგმანთა ავტორმა, გერმანიაში მოღვაწე ქართველმა პოეტმა ირმა შიოლაშვილმა. საღამოს მოდერატორი გახლდათ მაინის ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის, კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ქართველი ენათმეცნიერი, პროფესორი მანანა თანდაშვილი.

რილკეს ლექსები ქართულ და გერმანულ ენაზე წაიკითხეს თავად თარგმანთა ავტორმა, ასევე გოეთეს უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ფაკულტეტის გერმანელმა სტუდენტებმა. გარდა აღნიშნულისა, წაკითხულ იქნა ლექსები ირმა შიოლაშვილის ლექსების კრებულიდან „ოქტომბერი“, რომელიც გამოცემულია საქართველოში 2020 წელს, გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური საკონსულოს კონსული მაია აბულაშვილი, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.

სტოკჰოლმში ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი დღე აღნიშნა

8 ნოემბერს, ქ. სტოკჰოლმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ სათვისტომოსთან არსებულმა საკვირაო სკოლამ და ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „ნერგები“ ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი დღე აღნიშნა.

საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა ისაუბრეს ილიას შემოქმედებაზე და გააცოცხლეს ილიას გმირები.

ანსამბლის წევრებმა კი ღონისძიება ქართული ხალხური ცეკვებითა და სიმღერებით გააფორმეს.

ქართული ღვინის დღეები პოლონეთში

8 - 10 ნოემბერს, ქ. კრაკოვში, საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოსა და პოლონეთში ქართული ღვინის ელჩის ქეთევან ფრანგულაიშვილის ორგანიზებით ქართული ღვინის დღეები გაიმართა.

35 მცირე და დიდი მეღვინეობის წარმომადგენლებმა, პოლონელ კოლეგებს, იმპორტიორებს, ღვინის დარგის ექსპერტებსა და ღვინის მოყვარულ საზოგადოებას ქართული ღვინის მრავალფეროვნება და ღირსებები კიდევ ერთხელ წარუდგინეს.

მცირე მარნების ვიზიტი პოლონეთში ნაწილობრივ დაფინანსდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის მიერ.

8 ნოემბერს, მეღვინეობა „საწნახელის“ დამფუძნებელმა და მეღვინემ კახა ჭოტიაშვილმა და მეღვინეობა მელიტონის დამფუძნებელმა და მეღვინემ გიორგი სხირტლაძემ კრაკოვში, ღვინის საერთაშორისო გამოფენა Targi ENOEXPO Kraków -ზე ჩაატარეს ლექცია-დეგუსტაცია, რომელმაც ღვინის დარგის ექსპერტების დიდი მოწონება დაიმსახურა.

9 ნოემბერს, Zinar Castle-ში მცირე მეღვინეობის წარმომადგენლებისთვის გაიმართა ბიზნეს ვახშამი, სადაც მცირე მარნებს ჰქონდათ შესაძლებლობა, პირადად გაეცნოთ პოლონელი იმპორტიორ-დისტრიბუტორებისთვის საკუთარი ღვინო და დაემყარებინათ საქმიანი კონტაქტები.

მიღებას ესწრებოდნენ ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები - დეა კერძევაძე, ელენე კიკნაძე, ნათია როინიშვილი და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დიანა ჟღენტი.

11 ნოემბერს კი Stara Zajezdnia Kraków by DeSilva-ში გაიმართა ქართული ღვინის ფესტივალი. როგორც მცირე, ასევე, დიდი მარნების წარმომადგენლები სტუმრებს აცნობდნენ და აგემოვნებინებდნენ საკუთარ ღვინოს. სტუმრების რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, წარმოდგენილმა ღვინოებმა პოლონური საზოგადოების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

ანსამბლი „ლაზიკა“ ცეკვის საერთაშორისო კონკურსის პრიზიორი გახდა

9 ნოემბერს, ქ. სანქტ-პეტერბურგში, ცეკვის საერთაშორისო კონკურსი „ТАНЦЕМАНИЯ“ გაიმართა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ქ. სანქტ-პეტერბურგის რეგიონალურ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან - „ქართული ეროვნულ-კულტურული ავტონომია ივერია“ არსებულმა ქართული ცეკვის ანსამბლმა „ლაზიკა“, კობა ზარქუას ხელმძღვანელობით.
ანსამბლმა ჟიურის წევრების დიდი მოწონება დაიმსახურა და ნაციონალური ცეკვების ნომინაციაში I და II ხარისხის ლაურეატის დიპლომებით და თასით დააჯილდოვდა, ხოლო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს, კობა ზარქუას მადლობის წერილი გადაეცა და მიენიჭა იუნესკოს ცეკვის საეთაშორისო საბჭოს წევრის ტიტული.

ჩინეთში „მსოფლიო ინტერნეტის კონფერენცია“ გაიმართა

9 ნოემბერს, ჭეძიანგის პროვინციის ქ. უჭენში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, თამარ ქვლივიძემ, მონაწილეობა მიიღო ჩინეთის მთავრობისა და სახელმწიფო კიბერსივრცის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ რიგით მე-10 „მსოფლიო ინტერნეტის კონფერენციაში."
თამარ ქვლივიძემ მონაწილეობა მიიღო პანელურ დისკუსიაში „ინტერნეტკომუნიკაცია, კულტურული გაცვლა და ურთიერთსწავლება“, სადაც მან ჩინეთის ინტერნეტსივრცეში საქართველოს შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე ისაუბრა და დამსწრე საზოგადოებას თავისი გამოცდილება გაუზიარა.

ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩომ ქართველ ახალგაზრდებს უმასპინძლა

10 ნოემბერს, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, მარიამ მიქიაშვილის ინიციატივით ჩატარდა ქართველი ახალგაზრდების შეხვედრა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩთან, დავით სოლომონიასთან.
ღონისძიება ინტერაქტიულ რეჟიმში გაიმართა. საქართველოს ელჩმა ახალგაზრდებს გაუზიარა საკუთარი მოსაზრებები საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის, უსაფრთხოების რეგიონულ გამოწვევებზე, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, ნიდერლანდებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმდინარე ურთიერთობებზე.



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სომხეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა

10 ნოემბერს, სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ კონსტანტინიდიმ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა სომხეთში საქართველოს საქველმოქმედო სათვისტომო „ივერიის“ წარმომადგენლებთან.
ვლადიმერ კონსტანტინიდიმ სათვისტომოს წევრებს გაუზიარა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამოქმედო გეგმა და მიაწოდა ინფორმაცია დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის არსებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ, გაეცნო მათ საქმიანობას და სამომავლო გეგმებს. სათვისტომოს წევრებმა მინისტრის მოადგილეს აჩუქეს მათ მიერ თარგმნილი და გამოცემული წიგნები.

ნიდერლანდებში საერთაშორისო დიასპორული ფესტივალი „ქართული დღეები კუნძულ ტექსელზე“ ჩატარდა

10-12 ნოემბერს, ნიდერლანდების კუნძულ ტექსელზე, ნიდერლანდების ქართული კულტურის ცენტრის ორგანიზებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ ფარგლებში, გაიმართა საერთაშორისო დიასპორული ფესტივალი „ქართული დღეები კუნძულ ტექსელზე“.

სამი დღის განმავლობაში, ნიდერლანდების კუნძულ ტექსელზე, სხვადასხვა სახის შემეცნებითი და კულტურული აქტივობები მიმდინარეობდა, რომელშიც ჩართულნი იყვნენ სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის, ქართული დიასპორული თეატრი „დაბრუნება“, „მეწარმე ქალთა ასოციაცია ავე“, თეატრალური სტუდია „არტ-პლაზა და ქართული ღვინის, ჩაის და აქსესუარების კომპანიები.

ფესტივალის დიდი ნაწილი დაეთმო ქართული ანბანისა და ხელნაწერების პოპულარიზაციას. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ქართული ხელნაწერების გამოფენა, კალიგრაფების მასტერკლასი და წიგნების პრეზენტაცია. ასევე, გაიმართა მასტერკლასი თეატრალურ წარმოდგენაზე. გარდა ამისა, შედგა ვიზიტები კუნძულ ტექსელის ომისა და ავიაციის მუზეუმში და 1945 წლის ქართველთა აჯანყებისადმი მიძღვნილ მემორიალზე. კულტურულ-ისტორიული კონტექსტის შესაბამისად, გაიმართა ლექცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ კულტურულ ფასეულობებთან დაკავშირებით.

ფესტივალის დასკვნით დღეს, მოეწყო საგამოფენო სივრცეები, სადაც სტუმრებს შეეძლოთ გაცნობოდნენ ქართულ ღვინოსა და ჩაის, მრავალფეროვან სამზარეულოს, ისტორიული დიზაინით შექმნილ სამკაულებსა და ხელნაკეთ აქსესუარებს.

პროექტის გახსნით ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ასევე, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დავით სოლომონია, რომელმაც მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის გაწეული საქმიანობისთვის.

ანსამბლი „ზეკარი“ ბილბაოში ჩატარებულ საერთაშორისო ფესტივალზე წარდგა

11 ნოემბერს, ქ. ბილბაოში, ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „Gentes del mundo“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა „ზეკარი“, ანსამბლის დამფუძნებლისა და ქორეოგრაფის, პავლე გერგედავასა და მუსიკის მასწავლებლის, გოჩა ბერიშვილის ხელმძღვანელობით.

ანსამბლი ფესტივალზე შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

ლიეტუვაში ქართული დიასპორის წარმომადგენლები „მოძრაობის თეატრის“ დასის წევრებს შეხვდნენ

11 ნოემბერს, ქ. ალიტუსის ყოველწლიური, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს მოძრაობის თეატრმა წარმოადგინა იოსებ ბაკურაძის სპექტაკლი - „ასტიგმატისტები“, რომელმაც მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. სპექტაკლის დაწყებამდე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ლიეტუვაში საქართველოს საელჩოს უფროსმა მრჩეველმა, ნატო კიპაროიძემ, რომელიც მაყურებელს ქართული თეატრის მდიდარ ისტორიაზე და თანამედროვე მიღწევებზე ესაუბრა. მან ხაზი გაესვა საქართველო-ლიეტუვას შორის ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობებს, რომლის შენარჩუნება-განვითარების საქმეში ყოველთვის თვალსაჩინო როლს ასრულებს საქართველოს საელჩო და ლიეტუვაში არსებული ქართული დიასპორა.

ფესტივალის ფარგლებში, ასევე, შედგა ლევან კოღუაშვილის ფილმის „მეოთხე ბრაიტონი“ ჩვენება. საქართველოს ელჩმა სალომე შაფაქიძემ მოძრაობის თეატრს საელჩოში უმასპინძლა, სადაც დასის წევრებს ქართული დიასპორის რამდენიმე აქტივისტიც შეხვდა.

ქართული ფოლკლორული მუსიკის საღამო ჰააგაში

11 ნოემბერს, ფესტივალ „ევროპალია-საქართველო“ ფარგლებში, ჰააგის ცენტრალურ ტაძარში Nieuwe Kerk, გაიმართა ქართული ფოლკლორული მუსიკის საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ნიდერლანდების სამეფოში მოქმედმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „საქართველო“ და ანსამბლმა „პანკისი“ საქართველოდან. კონცერტის პირველ ნაწილში მაყურებლის წინაშე წარდგა, ადგილობრივი მსმენელისთვის უკვე კარგად ნაცნობი ანსამბლი „საქართველო“. ნიდერლანდელმა მუსიკოსებმა კვლავაც ააჟღერეს ქართული ჰანგები, რომელთა შორის მრავლად იყო როგორც პოლიფონიის შედევრები, ასევე, ქართული ინსტრუმენტების აკომპანიმენტით შესრულებული ფოლკლორული სიმღერები. კონცერტის მეორე ნაწილში, ანსამბლმა „პანკისი“, მსმენელებს წარუდგინა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ქისტების მრავალფეროვანი მუსიკისა და ქართული პოლიფონიის სინთეზი.

ესპანეთის სამეფოში საქართველოს შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

11 ნოემბერს, ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულმა ესპანეთის სამეფოში, შოთა მიქაუტაძემ მიღება გამართა. ღონისძიება მოეწყო ესპანელი სტუმრებისთვის საქართველოს, ქართველი ერისა და მისი უნიკალურობის გაცნობის მიზნით.

შოთა მიქაუტაძემ ისაუბრა აბრეშუმის გზის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, ქართულ ანბანზე, არქეოლოგიურ ფაქტებზე, კულტურულ და ისტორიულ ღირსშესანიშნაობებზე, ქართულ მეღვინეობაზე, ქართველების სტუმართმოყვარეობაზე, თბილისის, როგორც დედაქალაქის, კულტურის, არქიტექტურული მემკვიდრეობებისა და თანამედროვეობის უნიკალურ, მრავალფეროვან ისტორიაზე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ CEU უნივერსიტეტის ხელმძღვანელები და პროფესორები, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის წარმომადგენლები, ესპანელი სტუდენტები და სტუმრები სხვადასხვა ქვეყნიდან.

ვიზიტი სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლში

12 ნოემბერს, ქ. სტამბოლში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებული თურქეთში, სოფიკო ბზარაშვილი, უცხოელ სტუდენტებთან ერთად, ქართული ხელოვნების სახლთან (Gürcü Sanat Evi) არსებულ ქართულ ვოკალურ გუნდს ესტუმრა.

შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა. მხარეებმა ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობაზე, საზღვარგარეთ მოქმედი ქართული ანსამბლების ფუნქციონირებასა და მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობაზე.

შეხვედრის ფარგლებში სოფიკო ბზარაშვილმა და ანსამბლის წევრებმა უცხოელი სტუდენტებისთვის ქართული სიმღერები შეასრულეს.

საინფორმაციო შეხვედრა საქართველოში განათლების მიღების მსურველი ქართველი ემიგრანტებისთვის

12 ნოემბერს, ქ. ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრის - ,,კავკასია'' და ქართული ინსტიტუტისა ორგანიზებით, კულტურის ცენტრში, „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტმა, პროფესორმა კახა შენგელიამ, ათენში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა თემაზე - „უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობები საქართველოში, უცხოეთში მცხოვრები ემიგრანტებისთვის“.

შეხვედრის ფარგლებში კახა შენგელიამ დეტალურად ისაუბრა „კავკასიის უნივერსიტეტისა“ და „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ სასწავლო და გაცვლით პროგრამებზე, უნივერსიტეტების განათლების ხარისხზე, უნივერსიტეტების მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებზე, განათლების პოლიტიკაზე საქართველოში, თანამედროვე განათლების გამოწვევებზე, ახალ ინოვაციურ მიდგომებზე და სხვა.

აღსანიშნავია, რომ კახა შენგელიას ინიციატივით, ათენში მცხოვრებ ორ ემიგრანტს, შესაბამისი შერჩევის შემდეგ, საშუალება მიეცემა სრულიად უფასოდ ისწავლოს „კავკასიის უნივერსიტეტში“ ან „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“, რაც დიდი სტიმულია ქართველი ახალგაზრდებისთვის დაბრუნდნენ საქართველოში.

შეხვედრა კითხა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, რა დროსაც დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე კვალიფიცირებული პასუხები მიეღო.

შეხვედრაში ასევე მონაწილეობა მიიღო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა, ელინისტმა და მთარგმნელმა თათია მთვარელიძემ.

შეხვედრის ბოლოს, ათენის მუსიკალური სტუდიის აღსაზრდელებმა (სამხატვრო ხელმძღვანელი მამუკა ინაძე) სტუმრებს ახალი პროგრამა წარუდგინეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსული, გელა ჯაფარიძე, უფროსი მრჩეველი, დავით კორძაძე, „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და ქართველი ემიგრანტები.

ბელგიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის ანსამბლ „ბასიანის“ კონცერტი გაიმართა

12 ნოემბერს, ქ. ბრიუსელის საკათედრო ტაძარში საღმრთო ლიტურგია, საქართველოს სახელმწიფო ანსამბლის „ბასიანი“ გალობის თანხლებით აღევლინა.

საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ, საკათედრო ტაძარში შეკრებილი ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის ანსამბლ „ბასიანის“ კონცერტი გაიმართა, რომლის ფარგლებშიც ანსამბლის წევრებმა შეასრულეს ქართული მრავალხმიანი სიმღერები.

ტაძარში შეკრებილ ქართველ ემიგრანტებს სიტყვით მიმართეს ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსმა, მეუფე დოსითეოსმა, ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს ელჩმა, ევროკავშირთან საქართველოს წარმომადგენელმა, ვახტანგ მახარობლიშვილმა და ანსამბლ „ბასიანის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა, გიორგი დონაძემ.

საქართველოს ელჩმა მადლობა გადაუხადა ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსს, მეუფე დოსითეოსს, მის მიერ უცხოეთში მცხოვრები ქართველების მხარდასაჭერად გაწეული უმნიშვნელოვანესი საქმიანობისთვის. მან, ასევე, ხაზი გაუსვა დიასპორასთან აქტიური თანამშრომლობის პრიორიტეტულობას და მადლობა გაუხადა ქართველ ემიგრანტებს ბელგიაში საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლების საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

მადრიდის საკვირაო სკოლაში „აისი“ შემოდგომის დღესასწაული აღინიშნა

12 ნოემბერს, მადრიდის წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიასთან არსებულ ქართულ საკვირაო სკოლაში „აისი“ გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „ოქროსფერი შემოდგომა“ საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები, მოისმინეს ჩურჩხელის დამზადების ისტორია და ამოავლეს ჩურჩხელები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საკვირაო სკოლის აღსაზრდელების მშობლები, მამა პიროს გოცირიძე და მგალობელთა გუნდი „იადგარი“.

ანსამბლმა „ნანილა“ დაარსებიდან 10 წლის იუბილე აღნიშნა

12 ნოემბერს, ქ. ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის ტაძართან არსებული ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „ნანილა“ 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით მასშტაბური ღონისძიება გამართა.
ანსამბლის წევრები მაყურებლის წინაშე ქართული ცეკვებითა და სიმღერებით წარდგნენ. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის ტაძართან არსებული საკვირაო სკოლისა და ემპოლის „ნანილას“ სტუდიის აღსაზრდელებმაც. ღონისძიების ფარგლებში, ასევე, მოეწყო ქართველი ემიგრანტების ნამუშევრების გამოფენა.
ღონისძიებას ესწრებოდა იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, კონსტანტინე სურგულაძე, რომელმაც ფლორენციის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლოს წინამძღვარი, არქიმანდრიტი ანდრია (ლაცაბიძე), ქართულ კულტურაში შეტანილი წვლილისთვის, დიპლომატიური კორპუსის სახელით მადლობის სიგელით დააჯილდოვა.

ჰააგაში ნინო ხარატიშვილის ნაწარმოების მიხედვით პერფორმანსი დაიდგა

12 ნოემბერს, ქ. ჰააგაში, ფესტივალის „ევროპალია-საქართველო“ ფარგლებში გაიმართა გერმანიაში მოღვაწე ქართველი მწერლის, ნინო ხარატიშვილის ნაწარმოების „მერვე სიცოცხლე“ თეატრალური პერფორმანსი „სუფრა“.
პერფორმანსის ჩანაფიქრი, დადგმაში, მსახიობებთან და მომღერლებთან ერთად, დამსწრე საზოგადების ჩართულობას ითვალისწინებდა. ამ გარემოში რომანის პერსონაჟებმა წარმოადგინეს ქალის პერსპექტივიდან დანახული ქართული სუფრა.
ღონისძიებას ესწრებოდა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დავით სოლომონია.

ოსტინში ღონისძიება „ღვინო ფორუმი“ ჩატარდა

13-16 ნოემბერს, ქ. ოსტინში, ტეხასის უნივერსიტეტში, ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოსა და საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა „ღვინო ფორუმი“.
ღონისძიების გახსნით ნაწილზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დავით ზალკალიანმა.
საქართველოს ელჩმა ისაუბრა აშშ-ში ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის მნიშვნელობაზე და ხაზი გაუსვა საქართველოს წარმატებას ეკონომიკური განვითარების ჭრილში. ამ მხრივ, დავით ზალკალიანმა ისაუბრა ქვეყანაში შექმნილი სტაბილური გარემოს შესახებ, რაც ამერიკული ინვესტიციების და მათი წარმომადგენლობის გაზრდას შეუწყობს ხელს.
„ღვინო ფორუმი“ ყოველწლიური ღონისძიებაა, რომელიც აშშ-ის სხვადასხვა შტატში იმართება და მიზნად ისახავს ამერიკაში ქართული ღვინის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ფორუმში მონაწილეობას იღებენ მსოფლიოში ღვინის თემატიკაზე მომუშავე ცნობილი მეცნიერები, ჟურნალისტები, მეღვინეები და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

დიასპორული ორგანიზაციის „ივერია“ წარმომადგენლები „თავისუფალ თეატრის“ დასის წევრებს შეხვდნენ

14 ნოემბერს, ერევნის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში საქართველოს „თავისუფალმა თეატრმა“ წარადგინა უილიამ შექსპირის ტრაგედია „ოტელო“. სპექტაკლი გ. სუნდუკიანის ეროვნულ აკადემიურ თეატრში გაიმართა (რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი).
სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, სპექტაკლს ესწრებოდნენ ერევანში ქართული დიასპორული ორგანიზაციის „ივერია“ წარმომადგენლები, რომლებიც სპექტაკლის შემდეგ შეხვდნენ დასის წევრებს და წარმატება მიულოცეს.

ქართული ფილმის პრემიერა ამსტერდამში

14 ნოემბერს, ქ. ამსტერდამის კინოთეატრში „Pathe Theatre“, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, მარიამ მიქიაშვილის ხელშეწყობით, ქართული ფილმის „ვადაგასული საქმე“ პრემიერა გაიმართა. ფილმი, რომლის რეჟისორები არიან ელენე ასათიანი და სოსო დუმბაძე, იკვლევს 1992 წლის ტრაგიკულ მოვლენებს.
ფილმის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია. სტუმრებს შესაძლებლობა ქონდათ ქართული ღვინოს დაეგემოვნებინათ.

ბარიში კულტურული ასოციაცია „ვიქტორიას“ დაარსებიდან ერთი წლის იუბილე აღინიშნა

16 ნოემბერს, ქ. ბარიში არსებულმა კულტურულმა ასოციაციამ „ვიქტორია“ (ხელმძღვანელი ვიქტორია ცუხიშვილი) დაარსებიდან ერთი წლის იუბილე აღნიშნა.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა იტალიელი ისტორიკოსის და მწერლის, ფრანჩესკო ტრეჩის წიგნის ,,საქართველო'' პრეზენტაცია.
ღონისძიებას ესწრებოდა ქ. ბარიში საქართველოს გენერალური კონსული ვახტანგ ანდღულაძე.
წიგნის პრეზენტაცია, ასევე, გაიმართა ქ. ბარიში მოქმედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში ,,იმედი“ (ხელმძღვანელი ცინარი ღვალაძე).

ანსამბლმა „Le vie dei Canti“ რომში გამართულ წიგნის პრეზენტაციაში მიიღო მონაწილეობა

16 ნოემბერს, ქ. რომში, იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში, იტალიელი ეთნომუსიკოლოგის სერენა ფაჩის (Serena Facci) მიერ დაწერილი წიგნის „გალობა“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო კულტურულ ასოციაცია „რომის ქართული დიასპორასთან“ არსებულმა ქალთა ვოკალურმა ანსამბლმა „Le vie dei Canti“.
ღონისძიებას ესწრებოდა იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, კოსტანტინე სურგულაძე.

შეხვედრა სანქტ-პეტერბურგის ქართულ დიასპორის წარმომადგენლებთან

17 ნოემბერს, სანქტ-პეტერბურგში ქართველთა ეროვნულ-კულტურული ავტონომია „ივერიას“ ორგანიზებით, შესტაკოვის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ქართულ ეკლესიაში შედგა რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის კონსულის სოზარ კვინჩიას შეხვედრა აღნიშნული ეკლესიის წინამძღვართან მამა კონსტანტინესთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდა „ივერია“-ს ვიცე-პრეზიდენტი ბორის ბერულავა, სათვისტომოს წევრი ელენა ლებედინსკაია, სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის, ცენტრალური აზიისა და კავკასიის კათედრის მასწავლებელი, ისტორიის მაგისტრი ონისე ბოჭორიშვილი.
18 ნოემბერს, ქართულ ეკლესიაში, შედგა სოზარ კვინჩიასა და შვეიცარიის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის ვიცე-კონსულის გოჩა გოჩაშვილის შეხვედრა სანქტ-პეტერბურგში ქართველთა ეროვნულ-კულტურული ავტონომია „ივერიას“ წევრებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ ქ. სანქტ-პეტერბურგში მოქმედი ქართული ცეკვის ანსამბლის „ელვა“, ჯანო ლიპარტელიანის სახელობის ქართული ცეკვის ანსამბლის „სიხარული“ და ქართული ცეკვის ანსამბლის „ივერია“ წარმომადგენლები, სამედიცინო სფეროში დასაქმებული თანამემამულეები და, ასევე, შესტაკოვის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ქართული ეკლესიის მრევლი.
17-18 ნოემბერს ქ. სანქტ-პეტერბურგის შესტაკოვის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ქართული ეკლესიაში შედგა სოზარ კვინჩიასა და გოჩა გოჩაშვილის შეხვედრა ადგილობრივ მაცხოვრებლებთან. შეხვედრაზე მოქალაქეებს გაეწიათ კონსულტაცია საკონსულო საკითხებზე.

პრაღაში ღონისძიება „Students, Art and Revolution“ გაიმართა

17 ნოემბერს, ქ. პრაღაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, სოფიკო თოფურიას ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება „Students, Art and Revolution“.
საღამო გაიხსნა ბერლინში მოღვაწე ქართველი ფოტოგრაფის, გიორგი ნებიერიძის ფოტო გამოფენით.
მოწვეულმა სპიკერებმა სალომე ასათიანმა და ლაშა ნავერიანმა, ისაუბრეს საქართველოზე და ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე.
ღონისძიების ფარგლებში, მაყურებლის წინაშე ქართული ნაციონალური ცეკვებით წარდგნენ პრაღაში მოღვაწე ქართველი მოცეკვავეები, ალექს გოგიაშვილი და ვაჟა ტუღუში.
ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნებიდან და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქართული ღვინის საღამო ანტვერპენში

18 ნოემბერს, ქ. ანტვერპენში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, ალექსანდრე ქიზიყურაშვილის ინიციატივით, ქართული ღვინის კულტურისა და ისტორიისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული მეღვინეობის ისტორიაზე იუნესკოს მიერ გადაღებული ვიდეოკლიპის ჩვენება. ალექსანდრე ქიზიყურაშვილმა ისაუბრა ქართული მეღვინეობისა და მევენახეობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე.
ღონისძიების დასკვნით ნაწილში, მოწვეული სტუმრებისათვის გაიმართა სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინოს დეგუსტაცია. დეგუსტაციაზე წარმოდგენილნი იყვნენ ბელგიის სამეფოში ქართული ღვინის იმპორტიორი კომპანიები, „ალევინო“ და „Georgian Wijn“.

ანსამბლმა „იბერია“ შლეზვიგ-ჰოლშტაინში ჩატარებულ ცეკვის შეჯიბრში ოქროს მედალი მოიპვა

18 ნოემბერს, შლეზვიგ-ჰოლშტაინში, რიგით მე-10 ეროვნული ცეკვების კონკურსი გაიმართა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ჰამბურგის ქართული ცეკვის სტუდიამ „იბერია“ (ხელმძღვანელი ანნა ჩოხელი, ქორეოგრაფი შოთა ერისთავი). „იბერიას“ მოცეკვავეებმა მაყურებლის წინაშე წარმოადგინეს ქართული ცეკვა „ჯუთა“, რომელმაც ჟიურის წევრების დიდი მოწონება დაიმსახურა.
ქართულმა ანსამბლმა მოიპოვა 1 ადგილი და ოქროს მედალი. ანსამბლი „იბერია“ გადავიდა ეროვნული ცეკვების შემდეგ ეტაზე და მონაწილეობას მიიღებს ეროვნული ცეკვების კონკურსში, რომელიც უკვე გერმანიის მასშტაბით გაიმართება 2024 წლის მაისში, ქ. პათაბონში .

დუბლინში ყოველწლიური საერთაშორისო საქველმოქმედო ბაზრობა გაიმართა

19 ნოემბერს, ქ. დუბლინში, ირლანდიაში საქართველოს საელჩომ და ირლანდიაში ქართულმა დიასპორამ მონაწილეობა მიიღო დუბლინის საერთაშორისო ყოველწლიურ საქველმოქმედო ბაზრობაში, რომელიც დიპლომატიური კორპუსის ორგანიზებით იმართება. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული კუთხე, ღვინითა და ტრადიციული ქართული კერძებით.
ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ირლანდიაში ქართული კულტურის ცენტრი - ქართული დიასპორის ხელმძღვანელი ლელა შურუპოვა და ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი ,,ქართული ცეკვის ხელოვნება” ოთარ ლევერაშვილის ხელმძღვანელობით, ასევე, ქართული დიასპორის წარმომადგენლები, რომლებმაც მოამზადეს უგემრიელესი ქართული კერძები და თავისი წვლილი შეიტანეს ამ საქველმოქმედო ღონისძიებაში.

ალიკანტეს ქართული დიასპორის ორგანიზებით კულტურული ღონისძიება გაიმართა

19 ნოემბერს, ქ. ალიკანტეს ქართული დიასპორის ორგანიზებით, ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, წარმოდგენილი იყო ნაციონალური ფოლკლორი, ქართული ტრადიციული სამზარეულო და ღვინო. ასევე, დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდა ქართულ ტრადიციებს.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური კონსული, ალექსანდრე ჭკუასელი, საკონსულოს წარმომადგენლები და ესპანელი სტუმრები.

საკვირაო სკოლა „ფესვების“ მოსწავლეებმა შემოდგომის დღესასწაული აღნიშნეს

19 ნოემბერს, ქ. რენიში ასოციაცია „მსოფლიოს ხალხების“ ორგანიზებით მოეწყო შემოდგომის ზეიმი. ასოციაციასთან არსებული საკვირაო სკოლა „ფესვების“ მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლექსები და ჩანახატები შემოდგომის, რთველისა და თათარაობის თემაზე, დასასრულს კი ამოავლეს ჩურჩხელები.
რენის ქართული ასოციაცია აქტიურად ეწევა ქართული ტრადიციებისა და კულტურის შენახვა-გადარჩენისა და პოპულარიზაციის საქმიანობას. სკოლის აღსაზრდელები მონდომებით სწავლობენ მშობლიურ ენას, ხალხურ ცეკვას, სიმღერასა და ტრადიციებს.

ქართული კულინარიის დღე ესტონეთში

21 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებული ესტონეთში, გიორგი ქორიძე ტარტუს რაატუსეს სკოლას ეწვია, სადაც სკოლის მასწავლებლებთან და ხელმძღვანელებთან ჩაატარა ქართული სამზარეულოს დღე. სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ ესწავლათ ქართული ტრადიციული კერძების მომზადება და დაეგემოვნებინათ ქართული ღვინოები.

ჩინეთში ქართული ფილმის ჩვენება გაიმართა

21 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, თამარ ქვლივიძისა და მაკაოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (MUST) თანაორგანიზებით, „MUST Arts Talk“-ის ლექციების სერიის ფარგლებში, ამავე უნივერსიტეტში გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „ქართული კონემატოგრაფიის ხიბლი“.
თამარ ქვლივიძემ ისაუბრა ქართული ფილმის ისტორიის შესახებ. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ზაზა ურუშაძის ფილმის, „მანდარინები“ ჩვენება.
ღონისძიებას დაესწრო უნივერსიტეტის 300-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი და სტუდენტი.

შეხვედრა „სტიპენდიუმ ჰუნგარიკუმის“ გრანტის მფლობელ ქართველ სტუდენტებთან

22 ნოემბერს, ქ. ბუდაპეშტში, სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნუნუ მიცკევიჩი და უნგრეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თამარ ლილუაშვილი, ელტეს უნივერსიტეტში „სტიპენდიუმ ჰუნგარიკუმის“ გრანტის მფლობელ, ქართველ სტუდენტებს შეხვდნენ.
შეხვედრაზე განხილულ იქნა უნგრეთში სასწავლებლად მყოფი ქართველი სტუდენტების მხარდაჭერის გზები, ასევე, მათი საქართველოში დასაქმების შესაძლებლობები.

საინფორმაციო შეხვედრა უნგრეთში

23 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულმა უნგრეთში, მარიამ ქებაძემ, „ახალგაზრდა ევროპელი ელჩების ინიციატივასთან“ (Young European Ambassadors Initiative) ერთად, გამართა საინფორმაციო შეხვედრა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის, აღმოსავლეთ პარტნიორობის კავშირისა და ახალგაზრდა ევროპელი ელჩების ინიციატივის შესახებ.
შეხვედრის ფარგლებში, დამსწრე საზოგადოება გაეცნო ევროკავშირის პოლიტიკას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და ახალგაზრდა ევროპელი ელჩების ინიციატივის საქმიანობას.
მარიამ ქებაძემ მიმოიხილა ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში გაფართოების პოლიტიკის შესახებ საქართველოზე ფოკუსით და ისაუბრა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ.

აზერბაიჯანის კახის რაიონში გიორგობის დღესასწაული აღინიშნა

23 ნოემბერს, აზერბაიჯანის კახის რაიონში ადგილობრივმა მართლმადიდებელმა ქართველებმა გიორგობის დღესასწაული იზეიმეს.

კახის წმინდა გიორგის ეკლესიასა და ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარში სადღესასწაულო მსახურება ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა, ხორნაბუჯის, ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქიის დროებითმა მმართველმა, თეოდორემ (ჭუაძე) და მღვდელმა პეტრე ხუმარაშვილმა შეასრულეს.

გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებულ ზეიმში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საქართველოს საპატრიარქოს, მუსლიმთა სამმართველოს, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს საკრებულოსა და მერიის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები.

24 ნოემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქანის რაიონის სოფელ ითითალას ეწვია. ქართველ მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ, სააგენტოს დელეგაციამ სოფლის სრული საშუალო სკოლა მოინახულა. სააგენტოს თავმჯდომარე შეხვდა სკოლის ქართული სექტორის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს და სკოლის დირექტორს, მამედ მუსტაფაევს. პედაგოგებმა სააგენტოს თავმჯდომარეს გააცნეს სკოლის საქმიანობა და არსებული გამოწვევები. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, ზაზა ვაშაყმაძე, ასევე, გაეცნო სკოლის ქართული სექტორის მუშაობის სპეციფიკას, მოინახულა ქართული სექტორის საკლასო ოთახები და სკოლის ქართულენოვანი ბიბლიოთეკა. შეხვედრას ესწრებოდნენ ბელაქანის რაიონის გამგებელი, ისლამ რზაევი და სოფლის რწმუნებული, გერმან ბალაევი.

პენსილვანიის შტატში სადღესასწაულო ლიტურგია აღავლინა

23 ნოემბერს, პენსილვანიის შტატის წმინდა გიორგის სახელობის ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში, ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე საბამ (ინწკირველი) ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად სადღესასწაულო ლიტურგია აღავლინა.
სადღესასწაულო მსახურების დასრულების შემდეგ გაიმართა ტრაპეზი და საზეიმო ღონისძიება, სადაც მონაწილეობა მიიღეს პენსილვანიაში წმ. მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა და საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა.

ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ ქართველ სტუდენტებს უმასპინძლა

24 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, ანა მამალაძის ინიციატივით შედგა ქართველი სტუდენტების ვიზიტი ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში. ახალგაზრდები მიიღო საელჩოს უფროსმა მრჩეველმა, მიხეილ სულაბერიძემ, რომელმაც სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივებისა და ლატვიის სახელმწიფოსთან ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ, ასევე, უპასუხა მათ მიერ დასმულ შეკითხვებს.
შეხვედრის ფარგლებში ანა მამალაძემ გამართა დისკუსია სტუდენტებისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ლატვიაში კარიერის პერსპექტივები.
შეხვედრას ესწრებოდნენ ლატვიის უნივერსიტეტის, რიგის სტრადინიშის უნივერსიტეტის, სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლისა და ტურიბას უნივერსიტეტის სტუდენტები.

ანკარაში საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გაიმართა

25 ნოემბერს, ქ. ანკარაში, თურქეთში საქართველოს საელჩოს აქტიური ხელშეწყობითა და თურქეთში მცხოვრები ქართული დიასპორის ჩართულობით, ანკარის 26-ე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, მაყურებლის წინაშე წარსდგა, ჰეიდარ ალიევის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო თეატრის დასი.
რეჟისორ თურგაი ველიზადეს მიერ დადგმულმა სპექტაკლმა „მორფი“, წარმატებით ჩაიარა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.
სპექტაკლს, ესწრებოდნენ ქ. ანკარაში საქართველოს საელჩოს, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

სტამბოლში სტუდენტებისთვის ტრეინინგი „დეზიმფორმაციისგან თავდაცვის საშუალებები საქართველოს კონტექსტში“ ჩატარდა

25 ნოემბერს, ქ. სტამბოლში, წიგნის სახლში „მეფისტო“, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის თურქეთის რესპუბლიკაში, სოფიკო ბზარაშვილის ორგანიზებით, გაიმართა მედიაწიგნიერების ტრენერთა ტრეინინგი სტუდენტებისთვის „დეზიმფორმაციისგან თავდაცვის საშუალებები საქართველოს კონტექსტში. ტრეინინგი ჩატარდა „ვირტუალური შერლოკის“ პროექტის ფარგლებში და მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა, ცრუ ინფორმაციის გარჩევა რეალურისგან, ყალბი ვებგვერდების აღმოჩენა და საკუთარი თავის, ოჯახისა და ქვეყანის დაცვა მიზანმიმართულად გავრცელებული დეზინფორმაციისგან. ტრეინინგი, ასევე, მიზნად ისახავდა გამოცდილების და ცოდნის გაზიარებას.

ტრეინინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

დასი „ათინათი“ ლიეტუვას საერთაშორისო ფესტივალის პრიზიორი გახდა

25 ნოემბერს, ქ. კაუნასის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, დომეიკავას კულტურულ ცენტრში გაიმართა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „მასკარადი“ (Maskaradas). ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ნიდერლანდებში მოქმედმა ქართულმა სამოყვარულო თეატრალურმა დასმა „ათინათი“, რომელმაც დავით კლდიაშვილის ნაწარმოების ,,სამანიშვილის დედინაცვალი“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი წარადგინა. სპექტაკლი დადგა ლიეტუვაში მოღვაწე ქართველმა რეჟისორმა, ბადრი წერედიანმა.

დამსწრე საზოგადოების მხრიდან სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებით სპექტაკლი დაჯილდოვდა მთავარი პრიზით, ხოლო მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის დაჯილდოვდნენ დავით მორჩაძე და დავით კლდიაშვილი.

თეატრალურ წარმოდგენას დაესწრო საქართველოს საელჩოს კონსული ეკატერინე ჭავჭავაძე. მან სიტყვით მიმართა დამსწრე აუდიტორიას და მადლობა გადაუხადა როგორც ფესტივალის ორგანიზატორებს, ასევე ქართულ თეატრალურ დასს, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ახორციელებს ქართული კულტურის პოპულარიზაციას და ხელს უწყობს საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შექმნაში.

ქართული კულტურის საღამო ესტონეთში

25 ნოემბერს, ქ. ტარტუში, ესტონეთის ქართული სათვისტომოს „ქართული სახლი“ ხელმძღვანელის ლევან გორელაშვილისა და დიასპორული ორგანიზაციის „ქართული გენი“ მხარდაჭერით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულმა ესტონეთში, გიორგი ქორიძემ, კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლა.

საღამოს ესწრებოდა 8 სხვადასხვა ეროვნების 50-მდე სტუმარი. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართულ კულტურასა და ქვეყნის ისტორიას. გიორგი ქორიძემ სტუმრებს შესთავაზა გასართობ-შემეცნებითი ქვიზი, რომელთა გამარჯვებულებს საჩუქრად გადაეცათ ქართული ღვინო და ჩურჩხელა. საღამოში, ასევე, მონაწილეობდა მომღერალი ლაშა აფხაზავა, რომელმაც სტუმრებისთვის შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები.

ათენში ქართველი პედაგოგებისთვის თემატური ტრეინინგი ჩატრადა

25-26 ნოემბერს, ქ. ათენში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საზღვარგარეთ მოქმედი „ქართული საკვირაო სკოლების მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან ერთად, საბერძნეთის რესპუბლიკაში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლებისათვის ორდღიან თემატური ტრეინინგი გაიმართა, რომელსაც საქართველოს საელჩომ უმასპინძლა.
აღნიშნული პროგრამის მიზანია საკვირაო სკოლებში ქართული ენის სწავლების დონის ამაღლება და სკოლებში ქართული ენის სწავლების ერთიანი მიდგომის დანერგვა.
ტრეინინგს უძღვებოდნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის არაფორმალური განათლების პროგრამის მენეჯერი ანი კუდუხაშვილი, პროგრამის კოორდინატორი ქეთევან ბჟალავა და პროგრამის მასწავლებელი თამთა ხუციშვილი.
25 ნოემბერს საქართველოს საელჩოში გამართულ პირველ შეხვედრაზე თბილისიდან მოწვეულ სტუმრებს და ათენის ქართული დიასპორული საგანმანათლებლო ორგანიზაციების ქართული ენის პედაგოგებს მიესალმნენ საბერძნეთში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დარეჯან მუმლაძე და საელჩოს კონსული გელა ჯაფარიძე.

ქ. დუბლინში ნანა ქელეხიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიმართა

26 ნოემბერს, ქ. დუბლინში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის ირლანდიაში, თამარ მესხის ორგანიზებით, საგამოფენო სივრცეში The Complex Studio, გაიმართა პოეტისა და მხატვრის, ნანა ქელეხიძის პერსონალურ გამოფენა „Art For Connection“.
ღონისძიებაზე მისულმა სტუმრებმა დაათვალიერეს ნახატებში გაცოცხლებული ქართული პოეზია და გაეცნენ ნანა ქელეხიძის ლექსების კრებულს „საშუაღამო“.
დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ირლანდიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი ზურაბაშვილმა, ქართული კულტურის ცენტრი - ქართული დიასპორის ხელმძღვანელმა, ლელა შურუპოვამ და თამარ მესხმა.

ათენში ტერენტი გრანელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა

26 ნოემბერს, ქ. ათენში ბერძნულ-ქართული კულტურის ასოციაციასთან „არმაზი“ არსებული თეატრის „ქართული თეატრი ათენში“ სივრცეში, ცნობილი ქართველი პოეტის ტერენტი გრანელის შემოქმედებითი საღამო ჩატარდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ათენის ქართული დიასპორის წარმომადგენლები და პოეტის შემოქმედების თაყვანისმცემლები.

საღამოზე თეატრის მსახიობებმა წაიკითხეს ტერენტი გრანელის ლექსები, ისაუბრეს პოეტის ბიოგრაფიულ დეტალებზე და მის მდიდარ შემოქმედებაზე. ღონისძიების ფარგლებში ათენის ქართული ინსტიტუტისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრებმა ქართული ტრადიციული ცეკვები შეასრულეს.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსულმა, გელა ჯაფარიძემ, რომლმაც ისაუბრა ქართული დიასპორისთვის მსგავსი ღონისძიებების გამართვისა და მათი აქტიური ჩართულობის მნიშვნელობაზე, რაც ხელს უწყობს ემიგრანტთა ახალგაზრდა თაობაში ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციას.



საფრანგეთში ქართული კულტურის დღე გაიმართა

26 ნოემბერს, ასოციაციის „ქართველები საფრანგეთში“ ორგანიზებითა და ქ. სანტ-ეგღევის მერიის მხარდაჭერით, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, ქართული კულტურის დღე გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილოებას იღებდნენ ანსამბლი „ლაშარის ჯვარი ლიონში“, ანსამბლ „მარანის” წევრი გიორგი დავითაშვილი და პარიზში მოღვაწე მუსიკოსი, ლუკა წიკლაური, რომელმაც ჩონგურსა და გიტარაზე ქართული რეპერტუარი შეასრულა. ღონისძიების ფარგლებში, ასევე, წარმოდგენილი იყო საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მხატვრის ელენე ლოლაძის ნამუშევრების გამოფენა.

ღონისძიების პარტნიორი გახლდათ საფრანგეთში მოქმედი ქართული ღვინის კომპანია “Vins Georgiens”.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.

ჰანოვერში ქართველ მასწავლებელთა საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა

26 ნოემბერს, ქ. ჰანოვერში, საქართველოს განათლებისა და ბიზნესის ეროვნული აკადემიის ეგიდითა და ჰანოვერში დაფუძნებული გერმანულ-ქართული სახლის მხარდაჭერით, ქართველ მასწავლებელთა საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა.
კონფერენციის ფარგლებში პედაგოგებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ გერმანული სკოლის სისტემას და ასევე, საერთაშორისო - საგანმანათლებლო პროექტს „პატრიოტი დიასპორელი“.
კონფერენციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს გერმანულ-ქართული სახლის თანადამფუძნებლებმა ანა გამდლიშვილმა და თეონა ლაბაძემ, ოტია იოსელიანის სახელობის ქ. წყალტუბოს N1 საჯარო სკოლის დირექტორმა ფაქიზო ფანჩულიძემ, მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქ. თბილისის N41 საჯარო სკოლის პედაგოგმა სოფო მეძველიამ და სხვა.



საბერძნეთში მოღვაწე ქართველი პოეტის ნანა ჩხაიძის წიგნის პრეზენტაცია

26 ნოემბერს, ქ. თესალონიკში, საბერძნეთში მოღვაწე ქართველი პოეტისა და მწერლის, ნანა ჩხაიძის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.
პრეზენტაციას ესწრებოდნენ ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული ნოდარ კომახიძე, საკონსულოს ვიცე-კონსული კარლო ჩხაიძე და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

კანადელი სტუდენტების სტუმრობა აფხაზის ბაღში

27 ნობერს, ქ. ვიქტორიაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებული კანადაში, ნიკოლოზ იმნაძე, კანადელ სტუდენტებთან ერთად ნიკოლოზ აფხაზის ბაღს ესტუმრა.
ნიკოლოზ იმნაძემ სტუდენტებს დაათვალიერებინა ბაღი და გააცნო ბაღის მდიდარი ისტორია. ახალგაზრდებმა დაათვალიერეს ბაღში განთავსებული ქართული ქვევრი და ქართული ჯიშის მცენარეები.
ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს ბაღის დასუფთავებაში და დარგეს ორი კანადური ნეკერჩხლის ხე. ნიკოლოზ იმნაძემ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით, ბაღის ადმინისტრაციას შეწირულობის სახით 1000 კანადური დოლარი გადასცა.



აშშ-ში საქართველოს ელჩის შეხვედრა ჩიკაგოს ქართულ დიასპორასთან

28 ნოემბერს, ქ. ჩიკაგოში ვიზიტის ფარგლებში, აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით ზალკალიანი ჩიკაგოში მცხოვრებ თანამემამულეებს შეხვდა. შეხვედრას უმასპინძლა ქართული კულტურის ცენტრმა, ნათელა სანიშვილის ხელმძღვანელობით.
შეხვედრაზე, დავით ზალკალიანმა ისაუბრა ქართული დიასპორის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობაზე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიზნების მიღწევის პროცესში და აღნიშნა, რომ დიასპორასთან ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. დიასპორის წარმომადგენლებმა საქართველოს ელჩს საკუთარი ინიციატივები გააცნეს და განიხილეს ილინოისის შტატსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები, განსაკუთრებით ეკონომიკური, კულტურული და ხალხთაშორისი ინიციატივების მიმართულებით.

პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს უმასპინძლა

28 ნოემბერს, პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა, დიანა ჟღენტმა, პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს უმასპინძლა.
ღონისძიებაზე ქართული დიასპორის წარმომადგენლები ვარშავიდან, კრაკოვიდან, ვროცლავიდან, ლოძიდან, გდანსკიდან და პოლონეთის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოვიდნენ.
დიანა ჟღენტმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, მან აქცენტი გააკეთა დიასპორის როლსა და მნიშვნელობაზე, სამომავლო გეგმებზე, ასევე, აღნიშნა, რომ მსგავსი სახის შეხვედრები საქართველოს საელჩოში რეგულარულად გაიმართება.

შვეიცარიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა დაათვალიერეს

28 ნოემბერს, ქ. ბაზელში, შვეიცარიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, გაიმართა ქართული დიასპორისა და ბაზელში არსებული ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეების ბეილერის ფონდის მუზეუმში სტუმრობა.
ქართული დიასპორის წარმომადგენლებს და საკვირაო სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ დაეთვალიერებინათ ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა. ამასთან, ბეილერის ფონდის ხელშეწყობით, მოსწავლეებისათვის ორგანიზებულ იქნა გასართობ-შემეცნებითი ვორქშოპები.

ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოში სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა

28 ნოემბერს, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩომ უმასპინძლა ტილბურგის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საჯარო მართველობის ფაკულტეტის სტუდენტებს. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებული ნიდერლანდების სამეფოში, მარიამ მიქიაშვილი.

სტუდენტებს შეხვდა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით სოლომონია, რომელმაც ისაუბრა საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების, ნიდერლანდებთან ორმხრივი ურთიერთობების, ასევე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივების შესახებ.

29 ნოემბერს კი, მარიამ მიქიაშვილის ინიციატივით, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოში, გაიმართა შეხვედრა კანტის აკადემიის სტუდენტთა ჯგუფთან. საელჩოს უფროსმა მრჩეველმა ალექსანდრე ყიფიანმა სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივებისა და ნიდერლანდების სამეფოსთან ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ, ასევე, უპასუხა მათ მიერ დასმულ შეკითხვებს.

ირლანდიაში მოღვაწე ქართველ მწვრთნელს, ზაურ ანთიას ჯილდო გადაეცა

ირლანდიაში ქართული დიასპორის გამორჩეულ წარმომადგენელს, ირლანდიის კრივის ასოციაციის მთავარ მწვრთნელს, ზაურ ანთიას ირლანდიაში ოლიმპიური სპორტის სახეობის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, ირლანდიის ოლიმპიური ფედერაციის პრეზიდენტის ჯილდო გადაეცა.

ტექნიკური ხარვეზის გამო, ოქტომბრის „დიასპორულ საინფორმაციო ბიულეტენში“ გამოტოვებული ღონისძიებები შეუქდება მიმდინარე ნომერში

მარბელიაში კინოფესტივალი „ქართული ფილმი საზღვრებს გარეთ“ გაიხსნა

5 ოქტომბერს, ქ. მარბელიაში, ქართული კულტურის ცენტრის „ევრო-ჯორჯია“ ინიციატივით დაარსდა საერთაშორისო დიასპორული კინოფესტივალი „ქართული ფილმი საზღვრებს გარეთ“. ფესტივალი გახლავთ საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტი, რომელსაც უდიდესი მხარდაჭერა გამოუცხადა ქ. მარბელიას მერიამ, მუნიციპალიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა და მერიის კულტურისა და ტურიზმის დეპარტამენტმა.
მარბელიას მერიის წარმომადგენელმა, რემე ბოკანეგრამ მადლობა გადაუხადა და შემდგომი მხარდაჭერა გამოუცხადა პროექტის ინიციატორებს. ასევე, მადლობა გადაუხადა საქართველოდან ჩასულ წარმომადგენლობით დელეგაციას და პარტნიორ დიასპორულ ორგანიზაციებს.



ნიუ-იორკში გია ბაღაშვილის საჯარო ლექცია ჩატარდა

14 ოქტომბერს, ქ. ნიუ-იორკში, კულტურისა და განათლების ფონდის (Cultural and Educational Foundation Cef Fund) დამფუძნებლის, ბექა გოგინაშვილის ინიციატივით და ქართული კულტურის ცენტრის Dancing Crane Studio მხარდაჭერით, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა და ეთნომუსიკოლოგმა გია ბაღაშვილმა ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე „საქართველო ღვინისა და მრავალხმიანობის აკვანი“, რომელიც იუნესკომ აღიარა, როგორც არამატერიალური საგანძური. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა ანსამბლი „ზეკარი“, პაატა ცეცხლაძის ხელმძღვანელობით. ასევე, კულტურისა და განათლების ფონდის ორგანიზებით, კოლუმბიის უნივერსიტეტში, გია ბაღაშვილმა ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე „საქართველო ღვინისა და მრავალხმიანობის აკვანი“.

ათენში თემატური საღამო „ქართული პოლიფონიური მუსიკის საერთაშორისო მნიშვნელობა“ გაიმართა

29 ოქტომბერს, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრში „კავკასია“ გაიმართა თემატური საღამო „ქართული პოლიფონიური მუსიკის საერთაშორისო მნიშვნელობა“, რომელსაც უძღვებოდა ათენის ქართული ინსტიტუტის დირექტორი, ავთანდილ მიქაბერიძე.

საღამოს მომხსენებელი იყო ეთნომუსიკოლოგი და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი გია ბაღაშვილი, ხოლო ღონისძიებას საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა ბერძნული ტელე-შოუ „The Voice“-ის გამარჯვებული, მომღერალი დოდონა ნამორაძე. ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობდა ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი „კავკასია".

საღამო მიზნად ისახავდა საქართველოს ისტორიული და კულტურული ღირშესანიშნაობებისა და უძველესი ქართული მუსიკალური ტრადიციების წარმოჩენას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსული გელა ჯაფარიძე, უფროსი მრჩეველი დავით კორძაძე, ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ადგილობრივი ბერძნები და სხვა უცხოელი სტუმრები.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO